სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ
მეცნიერებებში

№2, ივლისი, 2017

Student Journal of Social Sciences

რეპეტიტორობის ინსტიტუტის ჩამოყალიბება-განვითარება საქართველოში

სალომე აბულაშვილი

სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელფოსტა s.abulashvili@mail.ru

მარიკა გაჩეჩილაძე

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელფოსტა:gachechiladzemarika@yahoo.com

აბსტრაქტი

საზოგადოებაში ხშირადაა უკმაყოფილება განათლებაში შექმნილი მდგომარეობით. ასევე ხშირად ისმება კითხვა თუ როგორ უნდა განვითარდეს განათლების სისტემა თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით.

დღეს საქართველოში განათლების სისტემას არაერთი ხარვეზი აქვს. ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის სწავლების გაუმართაობის ერთ-ერთი გამოხატულება არის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებში რეპეტიტორებთან მომზადების საჭიროება, როდესაც მოსწავლე სასკოლო განათლების ფარგლებში სასწავლო პროცესის ხარვეზებს რეპეტიტორთან მომზადებით ინაზღაურებს. მოსწავლეებისა და მშობლების აზრით, კერძო გაკვეთილების აუცილებლობის ერთ-ერთი მიზეზი სასკოლო და ეროვნული გამოცდების პროგრამების ერთმანეთთან შეუსაბამობაა. ოჯახებისა და მოსწავლეებისათვის მნიშვნელოვან პრობლემებს წარმოადგენს მომზადებასთან დაკავშირებული თანხები და ის დრო, რომელიც ორმაგად ეხარჯება აბიტურიენტს სკოლასა და კერძო მასწავლებლებთან სასწავლო პროცესში ერთდროულად ჩართულობის გამო. გასათვალისწინებელია, ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მოსწავლე არ იყენებს შესაძლებლობას ამავე საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიიღოს ცოდნა.

სტატიის მიზანია, შევისწავლოთ საქართველოში სასკოლო საგანმანათლებლო სისტემაში არსებული პრობლემები, რომლებიც კერძო გაკვეთილების საჭიროებას იწვევს, გამოვკვეთოთ კონკრეტული ასპექტები, რომლებიც ხელს უშლის ან უწყობს რეპეტიტორობის სისტემის კიდევ უფრო მეტად დანერგვას.
კვლევის ობიექტები იყვნენ, როგორც სკოლის მასწავლებლები, ისე აბიტურიენტები, მათი მშობლები და სტუდენტები.

აღნიშნულ კვლევაში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: რამდენად ხელმისწავდომია ფინანსური თვალსაზრისით აბიტურიენტებისთვის და მათი მშობლებისთვის რეპეტიტორებთან მომზადება; რამ განაპირობა რეპეტიტორებზე მოთხოვნის ზრდა; რამდენად შეესაბამება სკოლის სასწავლო პროგრამა ეროვნული გამოცდების პროგრამას; საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდეგ საქართველოში რა ცვლილებები განიცადა რეპეტიტორობის ინსტიტუტმა.

საკვანძო სიტყვები: *რეპეტიტორი, აბიტურიენტი, საგანმანათლებლო სისტემა, ერთიანი ეროვნული გამოცდა.*

შესავალი

თითქმის საღი აზრის დონეზეა დაშვებული, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო საფეხურის მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად სკოლა არ აძლევს მოსწავლეს საკმარის ცოდნას და მას აუცილებლად სჭირდება რეპეტიტორთან მომზადება. კვლევის შედეგების მიხედვით, მოსწავლეთა უმეტესობა საჭიროდ მიიჩნევს რეპეტიტორთან მომზადებას, რადგან ისინი თვლიან, რომ სკოლაში ვერ იღებენ უმაღლესში ჩასაბარებლად საკმარის საჭირო ცოდნას. ასევე აღნიშნავენ, რომ მასწავლებელთა ნაწილი მართლაც ცდილობს გაკვეთილისთვის განკუთვნილ 45 წუთში მოასწროს ყველაფრის ახსნა, თუმცა ზოგჯერ თავად ბავშვების გარკვეული რაოდენობა არ გამოთქვამს სწავლის სურვილს. სტატიაში შევისწავლით, რამდენად საჭიროა საქართველოს ზოგად საგანმანათლებლო საფეხურზე რეპეტიტორთან მომზადება და რატომ ჩამოყალიბდა რეპეტიტორობა ინსტიტუტად, არსებობს თუ არა ცალკეულ საგნებში მომზადების მზარდი მოთხოვნა და შესაძლებელია თუ არა კერძო პედაგოგის გარეშე გამოცდების ჩაბარება. ერთ-ერთი აბიტურიენტი ყურადღებას ამახვილებს სასკოლო და ეროვნული პროგრამების შეუსაბამობაზე. მისი თქმით, სკოლის სასწავლო გეგმა აცდენილია ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამას. კვლევისას

გამოიკვეთა ისეთი სასკოლო საგნები, რომლებიც სკოლაში არ ისწავლება, მაგრამ აბიტურიენტი იძულებულია ცალკე მოემზადოს, რომ ჩააბაროს ვერბალური და მათემატიკური უნარები და ასევე ქართული ენის გრამატიკა. გამოკითხული სტუდენტების ცნობით, ქართული ენის გარმატიკა არ ისწავლება სკოლაში სათანადოდ და საერთოდ, ამ საგნის სწავლება დამოკიდებულია პედაგოგის კეთილ ნებაზე.

ინტერვიუებზე დაყრდნობით, საკვლევ პრობლემაში აშკარად გამოიკვეთა კვალიფიციური კადრების არასაკმარისი რაოდენობა, ასევე ორი საგნის ერთდროულად სწავლება ერთი სახელმძღვანელოთი, რაც ქმნიდა სრულფასოვანი განათლების მიღების პრობლემას. საუბარია ისტორია - გეოგრაფიის ერთდროულად სწავლებაზე, რის გამოც დამამთავრებელ კლასში ბავშვებს შეექმნათ პრობლემები და იძულებულები იყვნენ მომზადებულიყვნენ ცალკე ისტორიის პედაგოგთან და ცალკე- გეოგრაფიის. ასევე, გამოიკვეთა თანხებთან დაკავშირებული პრობლემები. სტუდენტები ყურადღებას ამახვილებენ მე-12 კლასში კერძო მასწავლებლებთან გადახდილ თანხებზე, რომლებიც მერყეობს 800-დან 1000 ლარამდე თითოეულ საგანში (ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ კერძო გაკვეთილების საფასური დამოკიდებულია საგანზე, კვირაში კერძო გაკვეთილის ხანგრძლივობასა და რაოდენობაზე, რეპეტიტორის სოციალურ სტატუსზე და ა.შ.).

საბჭოთა პერიოდში რეპეტიტორობის ინსტიტუტი არ იყო ისეთი მძლავრი, როგორიცაა დღეს, რასაც მოწმობს „განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის“ მიერ 2011 წელს ჩატარებული კვლევა. გამოიკითხა 1200 მშობელი, რომელთა შვილებიც საშუალო სკოლის სხვადასხვა საფეხურზე სწავლობენ. კვლევის შედეგებიდან, ჩანს, რომ ოფიციალური აკრძალვის მიუხედავად, მოსწავლეთა 56% თავისივე სკოლის პედაგოგთან ემზადება. სკოლის მოსწავლეთა 92% ემზადება სამ საგანში. განსაკუთრებით გაიზარდა სხვადასხვა საგანში მომზადების მსურველი მოსწავლეების რაოდენობა მას შემდეგ, რაც სკოლებში საატესტატო გამოცდები შემოვიდა. არ ემზადება და არც საჭიროდ თვლის მომზადებას გამოკითხულთა მხოლოდ 10% (ხარაძე, 2012). როგორც აღნიშნული კვლევიდან გაირკვა, რეპეტიტორებთან მომზადების მაჩვენებელი იზრდება საფეხურის ზრდასთან ერთად და კრიტიკულ ნიშნულს დამამთავრებელ კლასში აღწევს. მიუხედავად ამისა, საბჭოთა პერიოდში მოსწავლეების მხრიდან გარკვეულ მოთხოვნას რეპეტიტორებზე განაპირობებდა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ჩაბარების სურვილი. კერძოდ, 1960-იანი წლებიდან საბჭოთა საქართველოში განვითარება დაიწყო რეპეტიტორობის სისტემამ იმისთვის, რათა კერძო მასწავლებლებს აეღოთ თანხა სკოლის მოსწავლეებისგან და კორუფციის გზით ეს მოსწავლეები ჩაერიცხათ უმაღლეს სასწავლებლებში. საქმე ისაა, რომ საბჭოთა კავშირში რეპეტიტორობას სხვა მიზანი ჰქონდა, დღეს კი რეპეტიტორი მოსწავლეს აძლევს იმ ცოდნას, რაც მას სჭირდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად.

ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის 68-ე დადგენილებით, 2017 წლის 1 იანვრიდან მასწავლებელთა სახელფასო ზრდა განისაზღვრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის შესაბამისად. კერძოდ, უფროსი მასწავლებლის ხელფასი გახლდათ 180 ლარი, ამჟამად იქნება არანაკლებ 320 ლარი. წამყვანი მასწავლებლის ხელფასი იყო 270 ლარი, დღესდღეობით უნდა იყოს 500 ლარი, ხოლო მენტორი მასწავლებლის ანაზღაურება - 400 ლარი და ახლა - არანაკლებ 700 ლარი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2015). აღნიშნული სტატუსების (უფროსი მასწავლებელი, წამყვანი მასწავლებელი, მენტორი) მინიჭება ხდება პედაგოგის აქტიურობიდან და ჩართულობიდან გამომდინარე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ პროექტებსა და ღონისძიებებში. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს მენტორი მასწავლებელი.

დღეს, მასწავლებლების უმრავლესობას არ აქვს შესაბამისი ხელფასი და მათი შემოსავლის დამატებით წყაროს წარმოადგენს კერძო გაკვეთილების ჩატარებიდან მიღებული თანხა. ამ მოსაზრებას ადასტურებს ჩვენი ერთ-ერთი რესპონდენტის (მასწავლებლის) ინტერვიუც. მისი პასუხებიდან ირკვევა, რომ პედაგოგის ანაზღაურება არ არის საკმარისი და მას ესაჭიროება დამატებითი თანხა, რისი მიღების საშუალებასაც იძლევა რეპეტიტორობა.

მარკ ბრეის (ბრეი, ჩრდილოვანი განათლების სისტემასთან დაპირისპირება, 2009) მიხედვით, კერძო გაკვეთილებს ძირითადად ატარებენ სკოლის მასწავლებლები, რომლებიც ისედაც პასუხისმგებელნი არიან თავიანთ მოსწავლეებზე სკოლაში. ერთი მხრივ, ეს შეიძლება სარგებლის მომტანი იყოს მასწავლებლებისთვის, რომელთაც შეუძლიათ დამატებითი დახმარების აღმოჩენა იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც უკვე კარგად იცნობენ. მაგრამ მეორე მხრივ, ამან შეიძლება პრობლემები გამოიწვიოს და სკოლაში საკუთარი მოსწავლე არაობიექტურად შეაფასოს. არის შემთხვევები, როდესაც სკოლაში მასწავლებლის მიერ ბავშვზე განხორციელებული ზეწოლა გამოიხატება შემდეგში: მაღალი ნიშნის არ დაწერა, გაკვეთილზე ბავშვის იგნორირება ან ზედმეტი ყურადღება (როცა მასწავლებელი ითხოვს იმაზე მეტს, ვიდრე სხვებისგან). პედაგოგებმა შეიძლება გამოტოვონ ძირითადი სასწავლო პროგრამის ნაწილი გაკვეთილების დროს, რათა მიიზიდონ მოსწავლეები სკოლის შემდეგ ჩატარებულ კერძო გაკვეთილებზე. ბევრ საგანმანათლებლო სისტემაში, მათ შორის საქართველოშიც, მასწავლებლები თვითონ წყვეტენ თუ რომელ მოსწავლეს გადაიყვანენ შემდეგ კლასში. ხშირად ამ მიზეზით მშობლები იძულებულნი ხდებიან გადაიხადონ კერძო მომსახურების საფასური, რადგან კარგად იციან, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში უფრო ძვირი დაუჯდებათ თავიანთი შვილის სწავლა და ბავშვს მოუწევს სასწავლო წლის გამეორება. ამავე დროს მნიშვნელოვანია, ის ფაქტი, რომ პედაგოგები რეპეტიტორობით ქმნიან საკუთარ ბაზარს. ზოგჯერ სასწავლო პროცესში ადგილი აქვს იძულებით რეპეტიტორობას, რომელიც გულისხმობს: „მასწავლებლის მიერ მოსწავლეებზე ხშირად განხორციელებულ ზეწოლას (და ხშირად დაშანტაჟებას), რომ სკოლის შემდეგ იარონ მათთან კერძო მეცადინეობებზე. ისინი ხშირად ბავშვებს დაბალი ნიშნებით ემუქრებიან უარის შემთხვევაში“ (Private tutoring in eastern Europe and central Asia:policy choices and implications, p. 8).

რაც შეეხება, საბჭოთა საქართველოში არსებულ განათლების სისტემას, ის ეყრდნობოდა მთლიანად კლასიკურ პედაგოგიკას. მისი ძირითადი ნაკლი იყო კომუნისტური იდეოლოგია. მედინსკის მიხედვით, ათეული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემა იდეოლოგიზებული საბჭოთა კავშირის სისტემის ნაწილი იყო. ამგვარი განათლება ფაქტობრივად არ ცნობდა კვლევას და მის უმნიშვნელოვანეს როლს საგანმანათლებლო პოლიტიკის წარმართვაში. არსებული რეჟიმისთვის მიუღებელი იყო ინდივიდუალიზმი, რის გამოც შექმნილი სასწავლო პროგრამები სავალდებულო იყო საბჭოთა კავშირში შემავალი განსხვავებული კულტურებისა და საგანმანათლებლო ტრადიციების ქვეყნებისთვის. არავინ ინტერესდებოდა ცალკეულ ქვეყანაში რეალური ვითარების შესწავლით და ადეკვატური საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავებით (მედინსკი, 1949). უშუალოდ რეპეტიტორობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, დღეს, ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს რომ საბჭოთა საქართველოში ამ ინსტიტუტმა ჩამოყალიბება დაიწყო 1960-იანი წლებიდან, მას შემდეგ რაც შეიცვალა და „ჩამოიშალა“ პოლიტიკური სისტემა. მასწავლებლები მოსწავლებისგან იღებდნენ თანხას და ამის სანცვლოდ რიცხავდნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (ეს რა თქმა უნდა ვერ გავრცელდება საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ყველა პედაგოგსა და მოსწავლეზე). 1960-იანი წლებიდან არსებითად დაიწყო კორუფციული პროცესების დამკვიდრება, რომელიც განათლების სისტემაზეც გავრცელდა. ამგვარი ვითარება გრძელდებოდა 2003 წლამდე.

2003-2004 წლებიდან საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ მრავალი რეფორმის განხორციელება დაიწყო. დღესდღეობით საქართველოში 15 000 სერტიფიცირებული მასწავლებელია, რომელთაც ანაზღაურებაც უნდა იყოს 800 ლარი და მეტი, რადგან მათ ჩაბარებული აქვთ საქართველოსა და განათლების სამინისტროს მიერ შემოღებული სასერტიფიკაციო გამოცდები, მაგრამ, რადგანაც ხელფასი მიბმული არის არა სერტიფიცირებაზე, არამედ მის საათობრივ დატვირთვაზე, ამიტომ ანაზღაურება არ უტოლდება აღნიშნული თანხას. გამოდის, რომ მასწავლებელთა ხელფასი დამოკიდებულია პრაქტიკულად

გაკვეთილების საათებზე და არა მათ ცოდნასა და სერტიფიცირებაზე. არსებობს კანონი, რომლის თანახმადაც, რეალურად ხელფასი მიბმული არის დატვირთვაზე და ეს ქმნის იმ პარადოქსულ ვითარებას, რომ 15 000 სერტიფიცირებული მასწავლებელიდან 800 ლარს და მეტს იღებს მხოლოდ 8 000 სერტიფიცირებული მასწავლებელი (განათლების პორტალი - www.edu.aris.ge, 2016).

მეთოდოლოგია

ხშირად თვისებრივ მეთოდებზე დამყარებული კვლევა მოითხოვს ერთდროულად რამდენიმე კვლევითი ტექნიკის გამოყენებას, რაც მკვლევარს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა კუთხით შეისწავლოს მისთვის საინტერესო ფენომენი (ზურაბიშვილი, 2006, გვ. 7). საკითხის სიღრმირეული შესწავლის მიზნით, გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

- სიღრმისეული ინტერვიუ
- მეორად მონაცემთა ანალიზი
- ლიტერატურის მიმოხილვა

მიზანმიმართულად შევარჩიეთ 9 რესპონდენტი. აქედან 2 აბიტურიენტი, 2 სტუდენტი, 2 მშობელი, 2 მასწავლებელი და 1 ექსპერტი საგანმანათლებლო დარგში. ჩავატარეთ სიღრმისეული ინტერვიუები, რომელთა ხანგრძლივობა იყო 1 საათიდან 2 საათამდე. ჩაწერილი აუდიო მასალიდან დავწერეთ ინტერვიუების ტრანსკრიპტი და კოდირებით გავაანალიზეთ მიღებული შედეგები.

დოკუმენტების კვლევის ერთ-ერთ მეთოდად არჩევა განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ ეს მეთოდი მკვლევარს მიუწვდომელი პიროვნებებისა და თემების წვდომის შესაძლებლობას აძლევს. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტური კვლევა დროში განმეორებადი ანალიზისთვისაც გამოსადეგია, ვინაიდან მან შეიძლება აჩვენოს, როგორ ვითარდება სიტუაციები დროთა განმავლობაში. ჩვენს შემთხვევაში დოკუმენტების ანალიზისთვის მოვიძიეთ განათლების საკითხებზე ბეჭდურად გამოცემული წიგნები და ელექტრონული წყაროები. ასევე, მეორად მონაცემთა ანალიზის არჩევის მიზეზს განაპირობებდა ეკონომიკური ფაქტორები, კერძოდ ნაჩმიასის მიხედვით, „ბევრად უფრო იაფია არსებული მონაცემების გამოყენება, ვიდრე ახალი მონაცემების შეგროვება“ (ნაჩმიასი, 2009, გვ. 432).

კვლევის შეზღუდვა არის რესპონდენტთა მცირე რაოდენობა და მათი შერჩევა მიზანმიმართულად. ამ საკითხზე კვლევების არასაკმარისი რაოდენობისა და არაზუსტი მონაცემების გამო ვერ იქნა მოძიებული რელევანტური მასალა საკითხის სრულფასოვნად შესასწავლად.

განათლების ქართული მოდელი

საქართველოში სრული ზოგადი განათლება მოიცავს 3 საფეხურს: დაწყებითი (I-დან IV კლასის ჩათვლით), საბაზო(V-დან IX კლასის ჩათვლით), სრული საშუალო (X კლასიდან XII კლასის ჩათვლით) (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005).

საქართველოში რეპეტიტორობის ინსტიტუტის დამკვიდრება დაიწყო საბჭოთა კავშირში და დღესაც გრძელდება მისი გამოყენების პრაქტიკა. ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ 1963-1964 წლებში სისტემის მოშლის შედეგად საქართველოში გაჩნდა დაუსჯელობის სინდრომი. კერძოდ, საზოგადოებას გაუჩნდა განცდა იმისა თუ რატომ უნდა ესწავლათ, როცა უკვე შესაძლებელი იყო თანხით ეყიდათ უმაღლესი სასწავლო დაწესებულების დიპლომი. ექსპერტის განცხადებით, სწორედ ამ პერიოდში დაინერგა მასწავლებლების მიერ ის პოლიტიკა, რომ მოსწავლეს ნიშანი არ დაეწერებოდა, თუ ის მასთან არ მოემზადებოდა. აქედან გამომდინარე, კორუფცია გახდა სწორედ პედაგოგების ყოველთვიური შემოსავლის გაზრდის წყარო. საყურადღებოა ის საკითხიც, რომ 1960-იან წლებში და შემდგომ პერიოდშიც, სანამ არსებობდა კორუფცია საგანმანათლებლო სისტემაში, რეპეტიტორები ძირითადად იყვნენ ის მასწავლებლები, რომელთაც წვდომა ჰქონდათ მისაღებ გამოცდებზე. იმ პერიოდში, შესაძლებელი იყო მოსწავლეს მასწავლებლისთვის გადაეხადა თანხა და ამ გზით (და არა ცოდნის შემოწმებით) ჩარიცხულიყო უმაღლეს სასწავლებელში. ექსპერტის ცნობით, კერძო მასწავლებლებს ჯგუფში ჰყავდათ

25-30 მოსწავლე, რაც თავისთავად გამორიცხავდა ინტენსიური მომზადების პრაქტიკას. ეს პოლიტიკა უფრო მეტად გავრცელებული იყო დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით, კი თბილისში. რაც შეეხება რაიონებს, მსგავსი სისტემა იქ ნაკლებად იყო განვითარებული. ექსპერტის ცნობით, რაიონებში მოსწავლეებს ზოგჯერ იძულებით ამზადებდნენ. ბევრ მშობელს ჩამოყავდა შვილები რაიონიდან თბილისში, მოსწავლეები არ დადიოდნენ მე-11 კლასში და ემზადებოდნენ რეპეტიტორებთან დედაქალაქში. ეს რეპეტიტორები კი იღებდნენ თანხებს, რათა ჩაერიცხათ მათი მოსწავლეები უმაღლესში. საინტერესოა, მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც რჩებოდა კერძო მომზადების გარეშე. ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ რაიონებში მოსწავლეთა განათლების დონე თბილისთან შედარებით იყო საგრძნობლად მაღალი, რადგან იქ მოსწავლეები ნამდვილად სწავლობდნენ, დედაქალაქში კი ძირითადად თანხას იხდიდნენ წინასწარ უმაღლესში მოსახვედრად. იყო შემთხვევები, როცა მოსწავლეებს სპეციალურად ჭრიდნენ უმაღლესის მისაღებ გამოცდაზე, რათა მიეღოთ ის, ვინც მათ წინასწარ თანხა გადაუხადა.

საყურადღებოა ის საკითხიც, თუ საიდან წამოვიდა რეპეტიტორობის საჭიროება. სამედიცინო ფაკულტეტი საბჭოთა პერიოდში (კერძოდ, 1964-1965 წლებში) საკმაოდ პოპულარული გახდა. ამ ფაკულტეტზე განსაკუთრებით გამძაფრებული იყო კორუფცია. ასევე, წამოვიდა ტენდენცია, რომ თუ ადამიანს არ ჰქონდა უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი, ის ნაკლებად იყო სოციალურად და ეკონომიკურად სასურველი ადამიანი სისტემისთვის. უმაღლესი განათლება აღმოჩნდა აბსოლუტურად დაუცველი კორუფციისგან. ექსპერტის ვარაუდით, სისტემის ამგვარი ცვლილება მოხდა მიზანმიმართულად. კორუფციული პროცესები და, ამავე დროს, სკოლისა და უმაღლესში ჩასაბარებელი პროგრამების ცვლილება მოხდა ერთად. კერძოდ, სკოლის პროგრამა უკვე აღარ შეესაბამებოდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩასაბარებელ პროგრამას, რაც ხელს უწყობდა ამ რეპეტიტორობის ინსტიტუტის კიდევ უფრო მყარად დამკვიდრებას.

2003 წლიდან დაიწყო საგანმანათლებლო სისტემის რეალური შეცვლა. აღმოფხვრილ იქნა კორუფციის სისტემა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებისთვის, თუმცა რეპეტიტორობის სისტემამ, როგორც ინსტიტუტმა მაინც განაგრძო არსებობა, ოღონდ უკვე სხვა მიზნით - მოსწავლისთვის რეალური განათლების მიცემისთვის. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სასკოლო და ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამების ერთმანეთთან შეუსაბამობა არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა. ეს საკითხი დგას აშშ-იც და ევროპის ქვეყნებშიც. რეპეტიტორობის ინსტუტუტიც შესაბამისად განვითარებულია ევროპაშიც და ამერიკის შეერთებული შტატებიც. ბუნებრივია, ამგვარი სისტემა ითვლება საგანმანათლებლო სისტემის ხარვეზად. ექსპერტი აღნიშნავს, რომ საბჭოთა საქართველოში სკოლა იქამდე აძლევდა მოსწავლეებს საჭირო განათლებას, ვიდრე დაიწყებოდა კორუფცია. საბჭოთა სკოლა „დაშალა“ მასწავლებლების დაბალმა ხელფასმა. „ცუდია არა რეპეტიტორობა, არამედ ცუდია ის სისტემა, რომელიც გაიძულებს რეპეტიტორობას,“- აღნიშნავს ექსპერტი. რეპეტიტორები, იმ სახით რა სახითაც დღეს არიან წარმოდგენილნი საქართველოში, მოსწავლეს აძლევენ გარკვეულ ცოდნას საბჭოთა კავშირის პერიოდისგან განსხვავებით. სპეციალისტთან მიღებული ცოდნით სკოლის მოსწავლე ემზადება უმაღლესში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად. საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, მოსწავლე თანხით ვერ იყიდის ვერც სკოლის ატესტატს და ვერც უმაღლესის დიპლომს. დღეს რეპეტიტორი გაძლევს ცოდნას, მაგრამ პრობლემა არის იმაში, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა ზოგიერთ საგანში მოითხოვს დაზეპირებას და არა გააზრებულ ცოდნას. რეპეტიტორობა გამოწვეულია სასკოლო პროგრამების არათავსებადობით ერთიან ეროვნულ გამოცდებთან (როგორც სსრკ-ის 1960-იანი წლებიდან მოყოლებული, ასევე დღესაც). დღეს წვდომა მისაღებ გამოცდებზე არის საბჭოთა კავშირისგან აბსოლუტურად განსხვავებული სისტემის ნაწილი.

განათლების, პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ, რეპეტიტორობის ინსტიტუტთან დაკავშირებით, 2011 წლის ივლისი–დეკემბრის პერიოდში ჩატარებულმა კვლევამ დაადგინა, რომ დღეს, საქართველოში რეპეტიტორებზე მოთხოვნა იზრდება სკოლაში საფეხურის ზრდასთან ერთად. კერძოდ, კვლევის შედეგების მიხედვით მომზადების ინტენსივობა კავშირშია ოჯახის შემოსავალთან. მაღალშემოსავლიან ოჯახებს შორის მომზადების წილი 64%-ზე ადის, ხოლო

დაბალშემოსავლიან ოჯახებში ეს მაჩვენებელი 24%-ს აღწევს. ასევე, კვლევამ გამოავლინა, რომ დედაქალაქში მცხოვრები მაღალი შემოსავლის ოჯახის დამამთავრებელ კლასში მყოფი თითქმის ყველა მოსწავლე ემზადება რეპეტიტორთან. ამავე კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, მშობელთა დანახარჯი განათლებაზე დაახლოებით 300 მილიონი ლარია, რაც სახელმწიფოს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსებასთან მიმართებაში 85.5%-ს შეადგენს. საყურადღებოა ის საკითხი, რომ ამ კვლევის მიხედვით კორუფციის აღმოფხვრის მიუხედავად, რეპეტიტორებზე მოთხოვნა არ შემცირებულა 2004 წელთან შედარებით. პირიქით, გაიზარდა იმ საგნების რაოდენობა, რომელშიც მოსწავლეები მიმართავენ რეპეტიტორებს (ბრეგვაძე, 2011) ამავე კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, მოსწავლის რეპეტიტორი იყო იმავე სკოლის პედაგოგი, კლასის მასწავლებელი, ლექტორი და სხვა სკოლის პედაგოგი. აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 33. პუნქტი III, 2005) საჯარო სკოლას უფლება აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისიწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება მოსწავლეებს მიაწოდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ამ მომსახურებაში მასწავლებელი არ იღებს დამატებით ანაზღაურებას

ბ) ამ მომსახურებას არ აქვს საგაკვეთილო სახე

გ) ამ მომსახურებას მასწავლებელი ეწევა მოსწავლეთა მშობლებთან შეთანხმებით

დ) ამ მომსახურების გაწევა უფასოა მოსწავლეთათვის

აქედან გამომდინარე, მასწავლებელი, რომელიც სკოლაში საგნის სწავლასთან ერთად ბავშვს ამზადებს კერძოდაც და იღებს ამაში ანაზღაურებას, ის არღვევს კანონს, თუმცა დღეს ეს პროცესები ნაკლებად კონტროლდება სახელმწიფოსა და კონკრეტულად განათლების სამინისტროს მიერ და შესაბამისად, უამრავი მასწავლებელი კერძოდ ამზადებს საკუთარ მოსწავლეს. დაახლოებით, 5-6 წლის წინ დაიწყო ამ პროცესების მონიტორინგი, კონტროლდებოდა (განსაკუთრებით ქალაქებში) მასწავლებელი, რომელიც საკუთარ მოსწავლეს აიყვანდა მოსამზადებლად, თუმცა რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ რეპეტიტორობის სისტემა ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდა და არსებითად არც იმ პერიოდში შეშლიათ ხელი მასწავლებლებს საკუთარი მოსწავლეების მომზადებაში. აქ დგას არა მხოლოდ მასწავლებლის პრობლემა, არამედ მოსწავლის მხრიდან რეპეტიტორის საკმაოდ მაღალი მოთხოვნილების საკითხიც.

რეპეტიტორობის ინსტიტუტის არსებობის ხელისშემწყობი ფაქტორები

ჩვენი კვლევის განმავლობაში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა რეპეტიტორობის ინსტიტუტის არსებობის მიზეზების 3 ასპექტი:

- სისტემური პრობლემები;
- ინდივიდუალური საკითხები, რომლებიც ხელს უწყობს რეპეტიტორობის ინსტიტუტის არსებობას;
- ღირებულებითი და ტრადიციული მიდგომა რეპეტიტორობის ინსტიტუტის მიმართ.

სისტემური პრობლემები

რესპოდენტთა ინტერვიუებზე დაყრდნობით რეპეტიტორობის ინსტიტუტთან დაკავშირებით გამოიკვეთა პრობლემები, რომელთაგან ერთ-ერთი უპირველესია სკოლაში მიღებული განათლების არასრულფასოვნება. აბიტურიენტთა თქმით, სკოლის პროგრამა არ შეესაბამება ეროვნული გამოცდების პროგრამას, რის გამოც მათ უწევთ დამატებითი დროისა და თანხების დახარჯვა რეპეტიტორთან. სასკოლო პროგრამისა და ეროვნული გამოცდების შეუსაბამობაზე ინტერვიუში ყურადღებას ამახვილებს ერთ-ერთი სტუდენტი, რომელიც ამბობს, რომ ისტორია-გეოგრაფიას სწავლობდა ერთი წიგნით, რომელშიც ყურადღება ძირითადად გამახვილებული იყო ისტორიაზე და გეოგრაფია სათანადოდ არც ისწავლებოდა და არც მოითხოვებოდა სკოლაში. მსგავსი მოსაზრება მოვისმინეთ პედაგოგისგან, რომელიც

აღნიშნავს, რომ ისტორია-გეოგრაფიის ერთად სწავლების პრაქტიკა შეიცვალა უკვე 5 წელია, რაც დადებითად აისახა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე აღნიშნულ საგნებში.

ამასთანავე, არსებობს საგნები, რომლებიც სკოლაში არ ისწავლება, მაგრამ მოითხოვება ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად. მაგალითად, ზოგადი უნარები და ქართული ენის გრამატიკა. როგორც აბიტურიენტებმა აღნიშნეს ქართული ენის გრამატიკას სწავლობდნენ დაბალ კლასებში (კერძოდ მე-6 და მე-7 კლასებში), ხოლო როცა მათთვის მეტად მნიშვნელოვანი გახდა ეს საკითხი, მათ არანაირი შეხება აღარ ჰქონიათ ამ საგანთან სკოლაში. მათივე განცხადებით, ამ დანაკლისს ძირითადად ავსებენ რეპეტიტორები, მაგრამ არიან ისეთი პედაგოგებიც, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვებს და ცდილობენ გარკვეული დრო მაინც დაუთმონ ამ საგნის სწავლებას.

რაც შეეხება უნარებს, მასთან არანაირი შეხება არ აქვთ მოსწავლეებს სკოლის ფარგლებში, განსაკუთრებით ვერბალურ ნაწილში. ზოგადი უნარების მათემატიკური ნაწილი ნაწილობრივ ისწავლება სკოლაში, თუმცა ის ცოდნა და მიდგომები არაა საკმარისი გამოცდაზე მოცემული ამოცანების ამოსახსნელად.

იქიდან გამომდინარე, რომ სკოლაში მიღებული ცოდნით ბავშვები არ არიან კმაყოფილნი, მათ უწევთ ზედმეტი დროისა და თანხების დახარჯვა რეპეტიტორებთან. ეს ძალიან რთულია, როგორც ბავშვისთვის, ასევე ოჯახისთვისაც. მოსწავლეებისგან უამრავ ენერგიას მოითხოვს მასალების მომზადება და უმეტესი დროის რეპეტიტორთან გატარება. ოჯახისთვის კი ეს ნამდვილად დიდი ხარჯია, მითუმეტეს მაშინ, როცა ოჯახს მცირე შემოსავალი აქვს. ხშირია შემთხვევები, როცა ოჯახი ვერ ახერხებს ბავშვის მომზადებას ყველა საჭირო საგანში. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, ასეთ ოჯახებში მცხოვრები მოსწავლეთა ნაწილი ითვალისწინებს ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას და ცდილობს სკოლაში მიიღოს ცოდნა მასწავლებლისგან. თბილისის ერთ-ერთი სკოლის ყოფილი მოსწავლემ (ამჟამად უკვე უნივერსიტეტის კურსდამთავრებული) 2012 წელს განაცხადა, რომ ერთ საგანში მომზადებას წლის განმავლობაში 1000-1500 ლარი სჭირდება, ოთხ საგანში კი (ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად) თანხა 6 ათას ლარამდეც ადის (ხარაძე, 2012).

მნიშვნელოვანია დღევანდელ სასკოლო სისტემაში კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა, რაც სისტემურ ზეგავლენას ახდენს მოსწავლეთა ცოდნის დონეზე. კერძოდ, ერთ-ერთი მასწავლებელი აღნიშნავს, რომ საუკეთესო ვარიანტში სასურველია კლასში იყო მაქსიმუმ 25-დან 30-მდე მოსწავლე. დასკვნის სახით იმაზე საუბარი, თუ რომელ კლასში (მრავალრიცხოვანში თუ მცირე რაოდენობის ბავშვებში) მიიღებენ ბავშვები უკეთესს განათლებას, შეუძლებელია. სწორედ ამ საკითხზე ამახვილებს მასწავლებელიც ყურადღებას და ამბობს, რომ ზოგჯერ ბავშვების საშუალო რაოდენობასთან (25-30) მუშაობა უფრო კარგია, რადგან ბავშვები ერთმანეთს აძლევენ სტიმულს, თუმცა ეს საკითხი ასევე დამოკიდებულია კლასში მოსწავლეთა განათლების დონეზეც და სასწავლო დისციპლინაზეც. რესპონდენტი ფიქრობს, რომ ბევრ ბავშვში უფრო მეტად მიმდინარეობს გაკვეთილზე მსჯელობა, უფრო მეტი განსხვავებული აზრია, რაც ხელს უწყობს მოსწავლის დაინტერესებასა და გააქტიურებას საგაკვეთილო პროცესში. მისი აზრით, ბავშვების მცირე რაოდენობა ნამდვილად არ განსაზღვრავს კლასის განათლების დონესა და ხარისხს. თუმცა ცხადია, რომ რიგ დისციპლინებში (მაგალითად, უცხო ენებში) დიდი ზომის კლასებში რთულია მოსწავლემ მიიღოს საჭირო ცოდნა.

საბჭოთა კავშირიდან დაწყებული დღემდე, რეპეტიტორობა ჩამოყალიბდა ინსტიტუტად, ანუ სისტემად, რომელშიც ერთდროულად ჩართულია მასწავლებელი, მოსწავლე და მშობელი. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სისტემურ პრობლემებს წარმოადგენს: სკოლის პროგრამის შეუთავსებლობა ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამასთან; ზედმეტი დროისა და თანხების დახარჯვა რეპეტიტორებთან; საგნები, რომლებიც არ ისწავლება, მაგრამ მოითხოვება უმაღლესში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად.

ინდივიდუალური საკითხები, რომლებიც ხელს უწყობს რეპეტიტორობის ინსტიტუტის არსებობას

ინდივიდუალური ასპექტების განხილვისას იკვეთება რამდენიმე საკითხი: მოსწავლის დაბალი მოტივაცია, პედაგოგების დაბალი კვალიფიკაცია, მასწავლებლის დაბალი მოტივაცია, რაც პირველ რიგში

ეკონომიკური მიზეზითაა განპირობებული. სტუდენტების ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ ანაზღაურება გავლენას ახდენს შრომისუნარიანობაზე. აქედან გამომდინარე, მასწავლებელთა დაბალი მოტივაცია ნაწილობრივ განპირობებულია დაბალი ანაზღაურებით, რასაც ეთანხმება ერთ-ერთი აბიტურიენტი. მისივე აზრით, განათლების სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს პედაგოგთა შრომის შესაბამისი ანაზღაურება და ამასთანავე უნდა განახორციელოს მონიტორინგი საგაკვეთილო პროცესზე, რაც გაუმჯობესებს სწავლების ხარისხს. „სიღარიბე პრობლემა ხდება მაშინ, როდესაც კარგავს თავის მოტივაციურ ფუნქციას ეფექტური საქმიანობის მიმართ. ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც სისტემა ვერ აწარმოებს ყველა იმ ინდივიდისთვის წახალისების ადეკვატური სისტემის შექმნას, რომლებიც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებს“ (მეზვრიშვილი, 2003). ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სისტემად წარმოდგენილია საგანამანათლებლო დაწესებულება - სკოლა და ამასთანავე რეპეტიტორობა, როგორც ინსტიტუტი. სახელმწიფო და თავად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ აწარმოებს ადეკვატურ წამახალისებელ პოლიტიკას, რომელიც ხელს შეუწყობს სკოლაში სრულფასოვანი განათლების მიღებასა და შემდგომ მოსწავლის მიერ ამ ცოდნის პროდუქტიულ გამოყენებას. კერძოდ, სასკოლო პროგრამისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამის ერთმანეთთან არათავსებადობით, სახელმწიფო კიდევ უფრო უწყობს ხელს რეპეტიტორობის ინსტიტუტის დამკვიდრებასა და გაღრმავებას ქართულ რეალობაში.

საინტერესოა მიზეზები, რომლებიც განაპირობებს მოსწავლის დაბალ მოტივაციას სკოლაში. ერთ-ერთი აბიტურიენტი აღნიშნავს, რომ მისი კლასის მაგალითზე აშკარად იკვეთება ის ტენდენცია, რომ შესაძლებელია 11 წელი არაფერი ისწავლო და მე-12 წელს „ყველაფრის სწავლა მოასწრო.“ მოსწავლეთა ნაწილი, რომელიც ემხრობა ამ მოსაზრებას, რესპონდენტის თქმით, აქვთ სწავლის ნაკლები სურვილი და მოტივაცია, ხოლო მე-12 კლასში იძულებულნი ხდებიან ისწავლონ ის მასალა, რასაც მოასწრებენ მთელი წლის განმავლობაში. აბიტურიენტი ასევე აღნიშნავს, რომ ამ პროგრამის 1 წელში სრულად ათვისება შეუძლებელია მაშინ, როცა 11 წელი პრაქტიკულად არაფერი გისწავლია. ასევე, ერთ-ერთი რესპონდენტი ინდივიდუალურ საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებში აღნიშნავს, რომ მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია ხშირად განპირობებულია მასწავლებლების დამოკიდებულებით მოსწავლეებისადმი, როცა მასწავლებელი გაფასებს დაბალი ნიშნით არცოდნის გამო, მაგრამ ამავე დროს ნაკლებად ზრუნავს იმაზე, რომ გასწავლოს. ხშირად ეს განპირობებულია არა მხოლოდ მასწავლებების მხრიდან სურვილის ნაკლებობით, არამედ მათი დაბალი კვალიფიკაციით. ეს პროცესები ერთმანეთზე ჯაჭვურადაა დაკავშირებული.

რაც შეეხება მასწავლებლების კვალიფიკაციის დონეს, 2016 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარებულ მასწავლებელთა საკვალიფკაციო ტესტირებაზე (საგნობრივ გამოცდაზე) ზღვარი ვერ გადალახა მასწავლებელთა რაოდენობის 83%-მა. საუბარია ტესტებზე, რომელთა გავლა პედაგოგებს ნებაყოფლობით, სამი წლის განმავლობაში შეუძლიათ. როგორც ირკვევა, ყველაზე მეტი დაბალი ქულა დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ნამუშევრებში ფიქსირდება (გოგესაშვილი, 2016). ეს საკითხი წარმოადგენს, როგორც მასწავლებელთა ინდივიდუალურ, ასევე მთლიანად სისტემის პრობლემასაც. პედაგოგების მიერ საკუთარი საგნების ჩაუბარებლობა ერთი მხრივ მეტყველებს პედაგოგთა დაბალ კვალიფიკაციაზე, მეორე მხრივ კი არასწორად შედგენილ სახელმძღვანელოებსა და ტესტების დონეზე. ეს საკითხი ცალკე კვლევის საგანია თუმცა პირდაპირ კავშირშია საქართველოში დღეს არსებულ ვითარებასთან რეპეტიტორთან დაკავშირებით. როცა მასწავლებელს არ აქვს საკმარისი ცოდნა საკუთარ საგანში, შესაბამისად ის ვერც მოსწავლეს მისცემს სათანადო განათლებას. ერთ-ერთი აბიტურიენტი აღნიშნავს, რომ საჭიროდ მიაჩნია მასწავლებელბისთვის წამახალისებელი პოლიტიკის გატარება, მეტად პროდუქტიული ტრენინგების ჩატარება და მათი უწყვეტი განვითარებისთვის სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვა.

ღირებულებითი და ტრადიციული მიდგომა რეპეტიტორობის ინსტიტუტის მიმართ

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ხელის უწყობს რეპეტიტორობის ინსტიტუტის დამკვიდრებას ეხება საქართველოში გავრცელებულ სტერეოტიპებს - „თუ რეპეტიტორთან არ მოემზადე ვერ შეძლებ ეროვნული გამოცდების ჩაბარებას“. არის შემთხვევები, როდესაც ბავშვები მხოლოდ იმიტომ მიდიან რეპეტიტორთან, რომ მისი მეგობრები ემზადებიან, ან სწორედ იმიტომ, რომ ჰგონიათ რეპეტიტორის გარეშე ეროვნული გამოცდების ჩაბარება შეუძლებელია. ეს წარმოდგენა ფართოდაა გავრცელებული საზოგადოებაში და ერთ-ერთი მთავარი მიზეზია რეპეტიტორობის ინსტიტუტის გაღრმავებისა. ამ მოსაზრებას ადასტურებს ჩვენ მიერ გამოკითხულ რესპოდენტთა ნაწილი. ჩვენ მიერ გამოკითხულ რესპონდენტთა ნაწილი ფიქრობს, რომ რეპეტიტორთან მომზადება აუცილებელია, რათა ჩააბარო ერთიანი ეროვნული გამოცდები, ნაწილი კი თვლის, რომ თუ სკოლაში კარგად სწავლობდი, მე-12 წელს რეპეტიტორთან მომზადება არ დაგჭირდება.

ერთ-ერთი რესპონდენტის (სტუდენტი, რომელიც სწავლობდა ერთ-ერთ სოფელში) მოსაზრებით, მოსწავლეების დაბალი მოტივაცია ნაკლებად არის სკოლის ბრალი, რადგან ის საკუთარ კლასში ხედავდა მასწავლებლებისგან იმის სურვილს, რომ ბავშვებისთვის ესწავლებინათ, მაგრამ ხშირად თავად მოსწავლეებს არ ჰქონდათ ამის სურვილი. ერთ-ერთი სტუდენტი აღნიშნავს, რომ ის ყველა საგანში არ ემზადებოდა დამამთავრებელ კლასში, რადგან სკოლაში მე-12 კლასამდეც სწავლობდა, თუმცა მისი კლასელების უმეტესობა ემზადებოდნენ, რათა ესწავლათ იმდენი, რომ ზღვარი გადაელახათ და უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულიყვნენ. ის მოსაზრება, რომ ყველა აბიტურიენტი აუცილებლად უნდა მოემზადოს, რესპონდენტის აზრით, არაა მართებული, რადგან „თუ აბიტურიენტობამდე სწავლობდი, ბოლო წელს აღარ უნდა გჭირდებოდეს ყველა საგანში მომზადება,“ - აღნიშნავს რეპონდენტი. ასევე მისი აზრით, მოსწავლეების მოტივაციისა და სურვილის ნაკლებობის გარდა დგას თანხის პრობლემაც. ქალაქში რეპეტიტორები უფრო მეტად ძვირია, ვიდრე სოფლებში, ამიტომ რესპონდეტი აღნიშნავს ქალაქისა და სოფლის სკოლების განსხვავებას ამ თავალსაზრისით.

ის მოსაზრება, რომ აბიტურიენტი აუცილებლად უნდა მოემზადოს, ამას ხშირად იზიარებს მისი მშობელიც. ერთ-ერთი აბიტურიენტი აღნიშნავს, რომ სკოლას აქვს თითქოს „ტრადიციული დამოკიდებულება“ მოსწავლის აუცილებელ მომზადებასთან დაკავშირებით. ამას განაპირობებს ასევე სკოლაში დამამთავრებელ კლასში არსებული რეჟიმიც, როცა უკვე ნაკლებად კონტროლდება მოსწავლის დასწრება გაკვეთილზე.

საყურადღებოა, აბიტურიენტთა მშობლების მხრიდან ღირებულებითი და ტრადიციული დამოკიდებულება რეპეტიტორობის ინსტიტუტის მიმართ. კერძოდ, აბიტურიენტის მშობელი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ მე-12 კლასში შვილს ამზადებს იმისთვის, რათა არა მარტო ზღვარი გადალახოს მოსწავლემ, არამედ დაფინანსებაც მიიღოს. ერთ-ერთი მშობელი თვლის, რომ სკოლის ცოდნით შესაძლებელია მაქსიმუმ ერთიან ეროვნულ გამოცდაზე დაწესებული ზღვარის გადალახვა, მაგრამ როცა საკითხი გრანტს ეხება, ეს უკვე შეუძლებლად მიაჩნია, რადგან სკოლის პროგრამა არ შეესაბამება სრულად უმაღლესში მისაღები გამოცდების პროგრამას. რესპონდენტი ასევე ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ მე-12, არამედ შვილის მე-9 კლასში მომზადებაზეც. ამის მიზეზად კი ასახელებს პროგრამის გართულებას, კონკრეტულად, ინგლისურ ენაში. ასევე, რესპონდენტი იხსენებს თავისი შვილისა და მისი კლასის ვითარებას მე-5 კლასში, როცა მათ მათემატიკის მასწავლებელი შეეცვალათ. ახალმა პედაგოგმა მოითხოვა ბავშვების მასთან კერძოდ მიყვანა დამატებით გაკვეთილებზე, რის მიზეზადაც დაასახელა ის, რომ ბავშვები პროგრამას ვერ ეწეოდნენ. მშობლემა მოგვიანებით ამ მასწავლებლის შეცვლა მოითხოვეს.

დასკვნა

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში რეპეტიტორობის ინსტიტუტმა ფეხი მოიკიდა საბჭოთა პერიოდიდან, როდესაც უმაღლესი დაწესებულების დიპლომი ითვლებოდა მომავალი წარმატებული

სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გარანტად, იმის მიუხედავდ, ამ დიპლომის მფლობელს ჰქონდა თუ არა რეალური ცოდნა თავის სფეროში. ბუნებრივია, ეს ტენდენცია საქართველოში დღესაც გრძელდება, მაგრამ არა ისე გამძაფრებულად, როგორც ეს 1960-იან და შემდგომ პერიოდში.

მნიშვნელოვანია ის პოლიტიკა, რასაც სახელმწიფო ახორციელებს ამ პრობლემის მოსაგვარებლად/გასაღრმავებლად. კერძოდ, საქართველოს მაგალითზე სკოლის პროგრამა არ შეესაბამება ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამას, რის გამოც მოსწავლე იძულებულია მოემზადოს. გასათვალისწინებელია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე იმ საგნების ჩაბარების მოთხოვნა, რომლებიც სკოლებში არ ისწავლება: ზოგადი უნარები და ქართული ენის გრამატიკა.

ინტერვიუებიდან ასევე გამოიკვეთა საქართველოში მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია, მოსწავლეებისა და მასწავლებლების მხრიდან სწავლა-სწავლების დაბალი მოტივაცია, პედაგოგთა დაბალი ხელფასები, რომლებიც დამოკიდებულია სკოლაში გაკვეთილების საათების რაოდენობაზე და არა მასწავლებლის ცოდნაზე, ასევე გამოიკვეთა სასკოლო განათლების დაბალი ხარისხიც.

სასკოლო განათლების დაბალ ხარისხზე მსჯელობისას, ია კუტალაძე, პირველ რიგში, განათლებაზე გაწეულ სახელმწიფო ხარჯებს გამოყოფს. ის განმარტავს, რომ "ქვეყანაში სახელმწიფო დონეზე განათლების პრიორიტეტულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი განათლებაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯია. საქართველოში განათლებაზე გამოყოფილი დაფინანსება ძალიან დაბალია და მნიშვნელოვნად ჩამორჩება არა მხოლოდ ევროპის, განვითარებული ქვეყნებისა და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებსა და ბალტიის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს, არამედ ყოფილი საბჭოთა ქვეყნების საშუალო მაჩვენებლსაც". მიუხედავად ამისა, ის მიიჩნევს, რომ არსებული დაფინანსების ფარგლებშიც მიზანმიმართულ, რაციონალურად დაგეგმილ ცვლილებებს შეიძლება პოზიტიური შედეგი გამოეღო: "თუმცა ხშირად პრიორიტეტების განსაზღვრა არაადეკვატურად ხდებოდა." (თსუ- online სტატია - საქართველოს სასკოლო განათლება რთული გამოწვევების წინაშე, 2014) განათლების, პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის „კერძო რეპეტიტორობის ფენომენის" კვლევამ აჩვენა, რომ მშობელთა დანახარჯი განათლებაზე დაახლოებით 300 მილიონი ლარია. ეს თანხა სახელწიფოს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსებასთან მიმართებით 85.5%-ს შეადგენს, რაც განამტკიცებს ზემოთ ნახსენებ მოსაზრებას, რომ არაადეკვატურად არის გაწერილი განათლების პრიორიტეტები და აქცენტი არ არის გაკეთებული მოსწავლისთვის ისეთი განათლების მიცემაზე, რომელიც მას სჭირდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად.

ამრიგად, რეპეტიტორობის ინსტიტუტის კვლევა მეტად მნიშვნელოვანი საკითხია განსაკუთრებით ქართულ რეალობაში, რათა პოზიტიურად შეიცვალოს განათლების სისტემა და ორიენტირება მოხდეს ნამდვილ კვალიფიციურ მასწავლებლებსა და სკოლაში სწავლისთვის სათანადო გარემოს შექმნაზე.

ბიბლიოგრაფია:

ბრეგვაძე, (2011). *კერძო რეპეტიტპრობის ფენომენის კვლევა საქართველოში.*

ბრეი. (2009). *ჩრდილოვანი განათლების სიტემასთან დაპირისპირება.* (პ. პრინტი, Ed., & მ. ორკოდაშვილი, Trans.)

განათლების პორტალი - www.edu.aris.ge. (2016, დეკემბერი 28). Retrieved from https://edu.aris.ge/news/maswavleblis-xelfasi-sertificirebaze-iyos-damokidebuli-da-ara-datvirtvaze-opoziciis-motxovna-ministrs.html

გოგესაშვილი. (2016, ოქტომბერი 3). Retrieved from http://www.2tv.ge/ge/news/view/120090.html

ზურაბიშვილი. (2006). თბილისი.

თსუ- online სტატია - საქართველოს სასკოლო განათლება რთული გამოწვევების წინაშე. (2014, მარტი 6). Retrieved from http://online.tsu.edu.ge/ge/science/10290/?p=11

ლორთქიფანიძე. (2013, მაისი 28). Retrieved from http://mastsavlebeli.ge/?p=2356

მედინსკი. (1949). *სახალხო განათლება სსრ კავშირში.*

მეზვრიშვილი. (2003). *ეკონომიკური სოციოლოგია.* თბილისი.

ნაჩმიასი. (2009). *კვლევის მეთოდები სოციოლოგიურ მეცნიერებებში.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2015, იანვარი 20).

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. (2005, აპრილი 8). *მუხლი 2*. Retrieved from http://mes.gov.ge/content.php?id=193&module=legislation&page=detals&leg_id=63

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 33. პუნქტი III. (2005, აპრილი 8). Retrieved from http://mes.gov.ge/content.php?id=193&module=legislation&page=detals&leg_id=63

ხარაძე. (2012, იანვარი 26). Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/education_georgia/24464026.html